ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 7 მარტი, 2008 №65 (4445)

ქვეყანაში ინფლაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზი მთავრობის პოპულისტური ხარჯებია გვ.2



# ქვეყანაში ინფლაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზი მთავრობის პოპულისტური ხარჯებია

ბოლო პერიოდში ლარის გამყარება ქართული ეკონომიკის „თავის ტკივილად" იქცა. ექსპერტთა შეფასებით, იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში იმპორტი 80 პროცენტია, ხოლო ექსპორტი 20 პროცენტი, ლარი მყარდება. რაც, ბუნებრივია, ადგილობრივი წარმოების განვითარებას მნიშვნელოვნად ხელს უშლის. რამ გამოიწვია ქვეყანაში ეროვნული ვალუტის გამყარება და რა ნაბიჯები უნდა გადადგას მთავრობამ, რომ ეს პროცესი თავიდან აიცილოს, — ამ და სხვა საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი" პარლამენტარს, ეკონომიკის ექსპერტს **ლადო პაპავას** ესაუბრა.

***— ბატონო ლადო, რამ გამოიწვია ეროვნული ვალუტის გამყარება და რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას?***

— 2004-2007 წლებში მთავარი მექანიზმი, რის გამოც ლარი მყარდებოდა, გახლდათ ის, რომ ქვეყანაში დიდი ოდენობით უცხოური ვალუტა, კერძოდ დოლარი შემოდიოდა,. ქართული კანონმდებლობით, ნებისმიერი ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში უნდა მოხდეს. ბუნებრივია, ამიტომ პრივატიზაციის დროს ინვესტორის მიერ შემოტანილი დოლარი ლარში ხურდავდებოდა. ამას ემატებოდა საზღვარგარეთ საშოვარზე წასული საქართველოს მოქალაქეების გზავნილები თავიანთ ახლობლებთან. ანუ ქვეყანაში დიდი ოდენობით დოლარი შემოვიდა, რამაც ლართან მიმართებაში მისი გაუფასურება გამოიწვია. გასული წლის ნოემბერის მოვლენების შემდეგ, მართალია, ინვესტიციების შემოსვლა შეფერხდა, თუმცა ახლა უკვე თვითონ ეროვნულმა ბანკმა დაიწყო თავისი რეზერვების გაყიდვა. მოგეხსენებათ პარლამანტში შემოსულია კანონპროექტი საქართველოს ეროვნული ბანკის კანონში ცვლილებების შესახებ. ამ კანონპროექტის თანახმად, თუკი ინფლაცია მომდევნო სამი კვარტლის განმავლობაში 12 პროცენტს გადააჭარბებს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი თანამდებობიდან უნდა გადადგეს. მართალია, კანონპროექტი ჯერ მიღებული არ არის, მაგრამ როგორც ჩანს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა თადარიგი წინასწარ დაიჭირა. იმისთვის, რომ ლარის მასის შემცირებით ინფლაცია მოთოკონ, ბანკი რეზერვებს ყიდის. ეროვნულმა ბანკმა შემოდგომიდან დღემდე 300 მილიონ ლარზე მეტი უკვე დაკარგა. აი, დღეს ლარის გამყარების მიზეზი ეს არის. ახლა რაც შეეხება მის დადებით და უარყოფით შედეგებს: საერთოდ, ეროვნული ვალუტის გამყარების დროს ექსპორტი იზღუდება, საექსპორტო ოპერაციები წამგებიანია, ვინაიდან უცხოური ვალუტა უფასურდება. ასე რომ, ადგილობრივი წარმოებისთვის ეროვნული ვალუტის გამყარება ცუდია, იმპორტისთვის კი პირიქით, კარგია. მას შემოაქვს პროდუქცია, ლარში ყიდის და იმ ლარით უფრო მეტ დოლარს ყიდულობს. ეროვნული ვალუტის გამყარება მძიმე ტვირთად აწვება მათაც, ვისაც შემოსავალი და დეპოზიტები დოლარში აქვს.

***— როგორ აფასებთ ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციურ პროცესებს, რამ გამოიწვია ასეთი მაღალი ინფლაცია?***

— ამ ეტაპზე ქვეყანაში ინფლაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზი მთავრობის პოპულისტური ხარჯებია. მაგალითად, ე.წ. დასაქმების პროგრამა, ვაუჩერების დარიგება

ასეთი ტიპის ხარჯები უშუალოდ ინფლაციური ხასიათისაა, რომ არაფერი ვთქვათ პენსიებისა და სოციალური დახმარებების ზრდაზე, რაც ასევე ინფლაციური ხასიათისაა. ეს ხარჯები მთავრობამ ჯერ საპრეზიდენტო არჩევნებისას გასწია და ისედაც მაღალ ინფლაციას, კიდევ უფრო შეუწყო ხელი. ახლა წინ საპარლამენტო არჩევნები გვაქვს და ანალოგიურ ხარჯებს კიდევ უნდა ველოდოთ.

***— 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ინფლაციის წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი 8 პროცენტია. რამდენად რეალურია ინფლაციის მაჩვენებლის მსგავსი დაგეგმვა და როგორ მოახერხებს მთავრობა ამ მაჩვენებლის შენარჩუნებას?***

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი დამოუკიდებელი არ არის და აქვეყნებს იმას, რასაც მთავრობა დაავალებს, მაშინ მათთვის ინფლაციის 8 პროცენტზე შეჩერება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. არ არის გამორიცხული, 8 პროცენტზე ნაკლებიც კი დააფიქსირონ. მაგრამ, რა თქმა უნდა, რეალურად ინფლაცია ბევრად მაღალი იქნება.

***— როგორც უნდა იმოქმედოს ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ, რომ ქვეყანაში ინფლაცია და ლარის კურსის გამყარება შეაჩეროს?***

— შეჩერება პრობლემა არ არის. თუ ეროვნული ბანკზე მთავრობისგან არ იქნება ზემოქმედება, მთავრობა პოპულისტური იდეების განხორციელებას შეწყვეტს, ინფლაციაც მოითოკება და ლარის კურსიც დასტაბილურდება. გარდა ამისა, ქვეყანაში, სახელისუფლებო შტოში პროფესიონალები უნდა გვყავდეს. დღეს კი ასეთი პროფესიონალების ნაკლებობაა.

მედიანიუსი

ახალი

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, ხოსო გოგინაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი